

გაბრაზა. მაგრამ ეს სულ ერთია. დივიუმი თუ ვერ მოახერხა მოკლას თავი შრომისათვის დემოკრატებს, სხვა რომელიმე მოღვაწე იკისრებს ამ საქმეს და შეიძლება ძალიან მალე ორი მძლავრი პოლიტიკური დასი ვიხილოთ, როგორც ინგლისში, კონსერვატორებისა და ლიბერალებისა.

ისკანდერ

ახალი ამბავი

* * * დღეს ქალაქის ხმოსნების ამორჩევა გათავდებდა: სამოცდა ოთხი ხმოსანი უკვე ამორჩეულია, ექვსი უნდა ამორჩიონ, — დანარჩენი კანდიდატები იქნებიან. თექვსმეტ მაისის არჩევანი, რამოდენისავე რუსის წარმომადგენელთა მცადინეობით დარღვეულ იქნა. დანიშნა ხელახალი კენჭის ყრა ოცდაათ მაისსა. ჩვენებმა უარი განაცხადეს და კენჭი არ ჩამოიტარეს, გარდა გიორგი წერეთლისა, რომელიც არჩეულ იქნა, მაგრამ ხუთის დღის შემდეგ უარი განაცხადა. დარჩა ექვსი ადგილი, ამ ექვს ადგილზე რვა კანდიდატი დასახელეს, ამათი სახელები დაუბეჭდათ და დღეს ეს სია ჩვენს ქალაქში ხელის-ხელ საგომანებლად გაუხდიათ.

ვბეჭდავთ ამ სიას რუსულად, ესე იგი ისე, როგორც დაარჩევს.

Агапьевъ, Николай Фёдоровичъ, Буткевичъ, Константинъ Пезаревичъ, Григорьевъ, Митрофанъ Григорьевичъ, Островскій, Юліанъ Святославовичъ, Сливичій, Семёнъ Алексѣевичъ, Шершенко, Иванъ Александровичъ, Шимкевичъ, Александръ Поликарповичъ, Якимовъ, Павелъ Михайловичъ.

(ვაგაბიფი ნ. თ., ბუტკევიჩ კ. ც. გრიგორიევი მ. გ., ოსტროვსკი იუ. ს., სლივიცი ს. ა., შერშენკო ი. ა., შიმკევიჩი ა. პ., იაკიმოვი პ. მ.)

* * * სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გაუგზავნია ყველა სამმართველოებისათვის, რომელნიც-კი ამ

ტაძის და მის სატრფიალო ჯულე-ტას მოუხდათ იმ ადგილზე გამოვლა, რომელიც ერთს დროს ფშატაძის ეკუთვნოდა, მაგრამ ბოლოს მემდუქნე ბაქიას ჩაუგდო ხელში; ჯერ დაუბრუნა და ბოლოს საშვილი-შვილოდაც დაუმტკიცა. ფშატაძემ დაინახა აქ ერთი ფრა ცხვარი, ვხშამდ შინ არაფერი ეგულებოდა და უნდოდა სხვისა ცეცხლზე ხელები მოკობო. წყემსები გარეშე სოფლისანი იყვნენ, თორემ იქნება ისე უდიერად არ მოჰქცეოდნენ, როგორც მოქცნენ.

ფშატაძემ დაუტოვა წყემსებს და ერთი მამალი ბატკანი (თახლი) ქოივიით ცხენ და ცხენ აიტაცა.

— ვინა ხარ რას ჩადი ე, ყმაწვილო?! შემოუძახეს წყემსებმა კომბალ-მოღერებულებმა.

— ვინ მოგცათ ნება აქ, ჩემს ადგილში ამოვოთ ცხვარი, თქვე, მ... ებო!. შემოუქციულა ფშატაძემ.

— როგორ თუ ვინ? ვისიკ არის, და ვისაც ფულები მივეციოთ ძოვები-სათვის, იმან, — უპასუხეს წყემსებმა:

სამინისტროს ექვემდებარებიან, ცირკულიარი, რომლითაც ებრძანებათ მტკიცედ დაიცვან 1885 წლის კანონი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ტყეებში თამბაქოს წვევა, ცეცხლის გაჩენა და ამ ტყეების მდინარეებში სანათით თევზის ქერა არავცს შეეძლოსო.

* * * ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ბ-ნი ფრასკი ორის თვით ყირიმში გაემგზავრა. მის თანამდებობის აღმასრულებლობა მიიღო თ. ნ. ქავჭავაძემ.

* * * ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ ქალაქის სამკურნალოს ექიმად მიღებულ იქნა ექიმი-ქალი ისაკოვისა, რომელმაც ქართული ენა ციცის.

* * * ამას წინად ტფილისის პოლიცემისტრმა მისწერა ქალაქის გამგეობას, ჩემ სამმართველოს არა ჰყოფნის ეხლანდელი სადგური ქალაქის სახლში და გთხოვთ სხვაგან დაქირაოთ სახლიო. ამის გამო ქალაქის გამგეობას დაუდგენია, თვით პოლიცემისტრისათვის სადგური სახლი და ამისთვის გადავლო 900 მანათი წელიწადში; ხოლო ეხლანდელი სადგური პოლიცემისტრისა გავყოთ, ზოგი მის სამზრუნველოს შეემატება და ზოგიც თვით გამგეობის კანცელარიის დასკირდებაო.

* * * ყალბათარის ქარვასლაში, თათრის მოედანზედ, გაფუჭებული ფეკილი უბოვით ქალაქის მოხელეებს. ვაქარ ყულიჯანოვს 200 ტომარა მიუტანია დასველებულის ფეკილით, გაუშვრია, დაუბეგვია და სხვა ტომარებში ჩაუყრია გასასყიდად. ფეკილში ბევრი მიწა, ქვიშა და ნაგავი ურევი, ზოგი გაუყლია კიდევ. ქალაქის მოხელეებს ფეკილი წაურთმევიით და ოქმი შეუყენებიათ.

* * * გენერალ ვინერის თოფის წამლის საწყობი გაუქურდავთ 9—10 ამ ივნისს, ღამე. ქვითკირის კედელი შეურღვევიათ და 10 ყუთი გამოუტანიათ, რომლებშიაც 30 ფუთი წამალი ყოფილა. ეს წამალი მთლად იპოვეს ყუთებით იქვე საწყობის ახლო-მახლო. როგორც ეტყობა,

ფშატაძის ბატკნის გაშვება არ უნდოდა ხელიდამ და ძალაზე იდგას, რომ გაიმართა ხმალი-ხანჯლის ტრიალი, რევოლვერის ქახა-ქუბი. წყემსები მაინც არ შედრკნენ. ორიოდ სამი კომბალი ფშატაძესაც ზღუხეს და ცხენი ხომ დაუშავეს ცალის ფეხით სამუდამოდ. ფშატაძეს ცხენის იმედი ჰქონდა, ყალყზედ აყენებდა, ზედაგდებდა და მწყემსები კიდე თავის მხრით კომბლებით იგერებდნენ ცხენსა და მის მხედარს. რა გაეწყობოდა, დაბრუნდა ფშატაძე გულ-ნაკლულად სახლში იმ იმედით, რომ ოდესმე მაინც ამოეყარა იმათი ჯავრი. ეფიცებოდა ჯულეტას, ბრაზობდა გზა-და-გზა, შფოთობდა კოქ-ლსა მერანსა ზედა მჯდომარე. ცოტა არ იყოს ჯულეტა თავის ნეფეს გული-გულში დასცინოდა, ამ მარცხისათვის ურწმუნო ქმნილიყო; აღარა სჯეროდა, თუ შემდეგში კიდე რასმე გახდებოდა მისი ქმარი იმ გაბანჯღვლულ ქუდიან ბიჭებთან.

ფშატაძე რომ ბრაზობდა და მისძახოდა „ჰაი-ჰუის“ ტყესა და ველსა,

ქურდებს რიდასიც შეჰშინებიათ და ფაცა-ფუციოთ გაქცეულან, ისე რომ იქვე დარჩენიათ ტანთსაცმელი, იარაღი, ცალიერი ბოთლი არაყისა და პორტმანი, რომელშიც 33 კაპეიკი ფული ყოფილა და ერთიც ფოსტის კვიტანცია ჯარის-კაცის ეჭვმ სა-ნოვსკის სახელობაზედ. ამ ქაღალდის პატრონი მალე იპოვეს, რომელიც ქურდობაში გატყდა და ამხანაგად ქალაქის მცხოვრები გერასიმე დარბაზოვი დასახელა. ესეც შეიპყრეს.

ამ ქურდობის გარდა, სხვა ბოროტ-მოქმედებაც აღიარეს შეპყრობილებმა. ამას წინად თოფის წამლის საწყობი დაიწვა და მიხეზი-კი მაშინ ვერ გაიგეს. აი თურმე რა ყოფილა. საწყობის ზედამხედველს ებიფანე მიხაილოვს თურმე ქურდულად გამოჰქონდა წამალი და შემდეგ დარბაზოვი ჩუმად ჰყიდა. წამლის მაგიერ მიხაილოვი მიწასა ჰყრიდა ყუთებში. ამ წლის დამდეგს რადენიმე ყუთი თოფის წამალი განჯას უნდა გაგზავნილიყო და ყუთებში-კი მიწა ეყარა. მიხაილოვს შეჰშინებია, ქურდობა არ გამიგონო, და მთლად საწყობი ზედ ახალ წლის დღეს აუფეთქებია. დამნაშავენი შეპყრობილნი არიან, გამოძიება სწარმოებს.

* * * 10 ივნისს განჯაში განხილულ იქნა საქმე გიორგი ნიკოლოზის ძის ყაზბეგისა, რომელსაც, როგორც მკითხველებმა იციან, ბრალდებოდა: განჯის სადგურის უფროსის კაზუბსკის და ნარიაღიკის კისელოვის მოკლა 7 მაისს; ბრალდებულის დამცველი იყო სახელმწიფო ვეჟილი, რომელიც ყაზბეგის ბოროტ-მოქმედებას აბრალდებდა სიანჩხლესა და გაბრაზებას, ზემოხსენებულ მოხელეებთან ლაპარაკით გამოწვეულს. მოწმების ჩვენებიდან არა ჰქონდა, რომ ყაზბეგს ბოროტების ჩადენის წინად უსიამოვნო ლაპარაკი ჰქონოდას აღნიშნულ მოხელეებთან (სულ ორი მოწამე იყო მიწვეული და ისინიც ყველა კითხვებზე, არ ვიცო, იმახოდნენ). სასამართლომ ყაზბეგი დამნაშავედ იცნო და მიუსჯა: აეხადოს ყოველივე ღირსება და გაიგზავნოს ოცის წლით კატორგაში.

ამას უნდა დაეუმტოთ, რომ დამნაშავე ყოველ კითხვებზე მკაფიო პასუხს აძლევდა და სულ იმას იძახდა: იქონიეთ სახეში და ჰკითხეთ საზოგადოებას, რა ყოფა-ქცევის კაცნი იყვნენ მოკლულნი და რად ჩავიდინე ეს მკვლელობაო.

* * * ს. ჭედა (ქვედა აქარა): მაისის 31, ღამით, აქაური ბოქაული მაიორი შარვაშიძე თავის მილიციონერებთან დაეცა ს. დანდალოში ფირალს ახმედ ხოროშვილს. ფირალს დიდ ტყის ძირას ერთ „ნალიში“ დაენტო ცეცხლი, წინა დღით მოტაცული თხა დაეკლა და კარ-ჩაკეტილი მწვანდ შეეჭყეოდა. ბნა შარვაშიძემ შესძახა, ახმედ, შენ ჩაღლიკი ვარ, მილიციით გარს გარტყევი, გაქცევა არ შეგიძლია, გირჩევ, დამნებდეთ. ამაზედ ფირალმა შეიგინდა გინება და თოფი დააყოლა. გაჩნდა დიდი თოფის სროლა. ფირალმა რომ დაატყო, ვეღარ გადავრჩებო, გამოტეხა კარი და გამოვარდა გარედ, მაგრამ ორ-სამ ფეხის გადადგმაზე დაეცა მკვდარი. ამ შემთხვევით ხალხი, ხოროშვილისაგან თავ-ზარ დაცემული, დამშვიდდა. ამას წინად „ივერიაში“ მოხსენებული ერთის ქვრე ქალის მოკლა და გაცარცვა ამ ფირალის საქმე ყოფილა; ნაცარცვი ნიფთები მასთან იპოვეს. დიდს გაქირვებას გადაჩა ხალხი მეტადრე ს. დანდალო, სადაც ეს ფირალი ერთის ქალამნისთვის ფოხარა კაცს კარგს ხარს დაუკლავდა. თვითონ უხორცოდ სადილს არ მიირთმევდა და ხალხს-კი აშინებდა, საჩივრებლად სასამართლოში არავინ წაიდგო, და მართლაც ვერაინა ჰმედავდა გამხილებას.

ამ ეამდ ბარის-ოსებში გაუწყვეტ-

წყემსებისაგან შენაწყინარი, თან ჯულეტას თვალს ადევნებდა, რათა გავგო, წაეკითხა მის სახეზე, როგორ მოსწონს ეს ჩემი ჩირთი-ფურთებიო. მისდა საწყინოდ ხეირანი ვერაფერი ამოიკითხა მის სახეზე... ფშატაძე უფრო გაბრაზდა, რატომ ჯულეტაც კვერს არ მიკრავს, არ მაქებს და არ მადიდებსო.

— Хочешь и тебя разнесу вмѣстѣ съ этими дикарями! нѣтъ хочешь я тебѣ докажу, что такое Пшатадзе?! გუბნებოდა სატრფოსათვისა ფშატაძე.

— Да что мнѣ доказывать, развѣ я не знаю, ты думаешь!.. უპასუხებდა ჰშატაძეს სატრფო მისი: Я сама все очень хорошо понимаю.

— Ты меня любишь, скажи! Ну, говори скорѣй!

ჰკითხა კვლავ ვარსკვლავსა თვისსა. ფშატაძემ ამ გვარი კითხვა ჯულეტასათვის ახალი ამბავი არ იყო. ახალი ამბავი მხოლოდ ბრაზიანი კილო იყო ამ კითხვაში

— Конечно, люблю вотъ по

სუხს აძლევდა და სულ იმას იძახდა: იქონიეთ სახეში და ჰკითხეთ საზოგადოებას, რა ყოფა-ქცევის კაცნი იყვნენ მოკლულნი და რად ჩავიდინე ეს მკვლელობაო.

* * * ს. ჭედა (ქვედა აქარა): მაისის 31, ღამით, აქაური ბოქაული მაიორი შარვაშიძე თავის მილიციონერებთან დაეცა ს. დანდალოში ფირალს ახმედ ხოროშვილს. ფირალს დიდ ტყის ძირას ერთ „ნალიში“ დაენტო ცეცხლი, წინა დღით მოტაცული თხა დაეკლა და კარ-ჩაკეტილი მწვანდ შეეჭყეოდა. ბნა შარვაშიძემ შესძახა, ახმედ, შენ ჩაღლიკი ვარ, მილიციით გარს გარტყევი, გაქცევა არ შეგიძლია, გირჩევ, დამნებდეთ. ამაზედ ფირალმა შეიგინდა გინება და თოფი დააყოლა. გაჩნდა დიდი თოფის სროლა. ფირალმა რომ დაატყო, ვეღარ გადავრჩებო, გამოტეხა კარი და გამოვარდა გარედ, მაგრამ ორ-სამ ფეხის გადადგმაზე დაეცა მკვდარი. ამ შემთხვევით ხალხი, ხოროშვილისაგან თავ-ზარ დაცემული, დამშვიდდა. ამას წინად „ივერიაში“ მოხსენებული ერთის ქვრე ქალის მოკლა და გაცარცვა ამ ფირალის საქმე ყოფილა; ნაცარცვი ნიფთები მასთან იპოვეს. დიდს გაქირვებას გადაჩა ხალხი მეტადრე ს. დანდალო, სადაც ეს ფირალი ერთის ქალამნისთვის ფოხარა კაცს კარგს ხარს დაუკლავდა. თვითონ უხორცოდ სადილს არ მიირთმევდა და ხალხს-კი აშინებდა, საჩივრებლად სასამართლოში არავინ წაიდგო, და მართლაც ვერაინა ჰმედავდა გამხილებას.

* * * ზარის-ოსეთა (კაკავის ოლქი), 31 მაისს. ძლივს-ძლივით ამ მაისის გასულს გაათავეს ბარის ოსეთში ხენა და სიმინდის თესვ; ამ ნაირად ასე გვიან დათესილ სიმინდს, ღმერთმან უწყის, როგორი ნაყოფი ექმნება. ჯეჯილები აქედ ჰრეკლად არის; ზოგ სოფლებში, საცა თავის დროზედ დათესეს, ძლიერ კარგი ჯეჯილებია, და სხვაგან-კი ბევრი არაფერი. ხორბლის და სიმინდის ფასმა ამ ეამდ დაიწია, ხორბალი „მერკა“ მანეთად ფასოფს და სიმინდი ორ აბაზად.

ამ ეამდ ბარის-ოსებში გაუწყვეტ-

ЭТИХЪ ПОРЪ! ჯულეტამ ნიკბის ძირზე, ყელზე თითი გამოისო ისე, როგორც საკლავს გამოუსმენ ხალხმე დანას, როცა თავსა სკრინან, ნიშნად იმისა, ვითომ აქამდე სავე ვარ შენის სიყვარულითაო.

— Смотри, не смѣй не любить, а то разнесу въ пухъ-прахъ, унѣчто-о-о жу, выпотрошу, башку сниму! Помни, не забывай, что я князь Пшатадзе!..

ჯულეტა თავ-დაკიდებით დაღუმეული ყურს უგდებდა, თუმცა გული-გულში მაინც სიცილს არ იშლიდა და ამბობდა: თუ მაგისთანა გმირი ხარ, ისინი დაგებოცა, ვინც ქეტები მოგცეს, და ცხენსაც ფეხი მოგიჩეხესო. ცოლ-ქმრის საუბარი მშვიდობიანად გათავდა და ორთავენი შინ მშვიდობიანად დაბრუნდნენ.

განვლო კიდევ ერთმა თთვემ და სურათი ცოლ-ქმართა ცხოვრებისა შეიცვალა. საუბარი იმაზე თუ გიყვარვარ და მიყვარხარო შეიცვალა: რა ვსკამოთ, რა ვსათო?

ფშატაძე ჯიბეზე ხელს ისევამდა, მაგრამ ტყუილად, იქ კვალიც-კი არ ეტ-

ლივ იმაზედ-ლა არის ლაპარაკი, რამ, როგორც გვესმის, უხეზო-უხეზო მყინვარე შემოუღია და რომანოვი-რდეს, წყურვე შექმნილია. ვერტაზად წამოსული თერგის ნაპირს მდებარე სოფლებს ცუდს დღეს დააყენებო.


* * * ჭ. სიდანაძე, 7 თიბათთვე. ეს ორი-სამი დღეა, რაც სიღნაღის სასწორზე ისე აღარა ტრიალებს მაზრის ხალხი, როგორც აქამდე. ამის მიზეზი ის გახლავს, რომ, აგერ ერთ კვირაზე მეტია, წინა მხარში ქერები გაიქრა. მკიან და ამ ქერით იოლად მიდიან, სანამ ჰურიც ვაიქრება. ახალი ქერი უკვე შემოდის სიღნაღში გასასყიდათ. ქერის ათეულს კოლზე მეტი გამოსავალი აქვსო (კოლი ათი ლიტრაა, ლიტრა 10 გირვანქა, მაგრამ ვაქრების ლიტრა 10—15 და 18-მდე). ეტყობა, ჰურსაც კარგი გამოსავალი უნდა ჰქონდეს. ვენახებსც (სადაც გადურჩა მკაცრ ზამთარს) კარგა ასხია; ლობიო, კიტრი და სხვა ძირის მოსავალი მშვენიერია ჯერ-ჯერობით. ბალახი დაითიბა და ძირი-ელ კარგი ბალახიც იყო. უკანა მხარში ეხლა სთიბვენ ბალახს. აქაც შემოვიდა ქერები და ამ დღეებში გასკრიან, იქითაც კარგი მოსავალია. მაგრამ მაინც ამ მშვენიერ მოსავლით მშრომელი წელში ვერ გაიშლება, რადგანაც ეს მოსავალი ბევრს მთლად შექმული აქვს. წოვეანდელმა მოსავალმა უნდა გაისტუმროს შარშანდელი მოუსავლობა და ორ-სამ ნაწილ შეეცილი ვალიც.

ესლა სიღნაღში ბევრი შემოდის გასასყიდათ ლობიო, კიტრი და ნიორი მახლობელ სოფლებიდან, მაგრამ ჩვენ, სიღნაღელებს, არას გვაჩრგია. დგანან ვიღაცა ქალაქელი კონტოგები და სულ ქალაქ ტფილისისაკენ ეხედებიან. შინ ყმაწვილები ტიროდნენ, ტაბლას გარედ რა ხელი აქვსო. ამას წინად ერთი ხელოსანი, ესე შუანისი კაცი, გასულიყო სასაფლაოზე და ყელს იჭრიდა, მაგრამ, მის იღბალზედ, შეუსწვრიათ თვალი და მალე მიჰმეველებიან. ჰკითხეს, რათ იკლავ თავსა, რა დაგმართინაო? — ცოლ-შვილი ვეღარ მიცხოვრებია და რათ მინდა თავი ცოცხალიო.

ყობოდა, თუ ოდესმე ფული იღო, განაღამც ებოვნა რამ შებ. ფშატაძემ არ იცოდა, რა ექმნა სიმწარით. დღემდე არც-კი უფიქრია, თუ ფული შემოელოდა და ტკბილი სიხმრები, ტკბილის ცოლ-ქმრის სიყვარულია შავ-ბნელს სიხმრებზე შეიცვლიბოდა. თითქოს იმედი ჰქონდა კიდევ რაინდს, რომ ფული მოვიდოდა თავისთავად, მაგრამ იმედი იმედად რჩებოდა. ჯულეტაც დაღანდა. სურვილი საღამ საღამო სეირნობისა ცხენით გაქირვდა, რადგან კუჭი და მალა ფშატაძისა იყო გოდებასა შინა, მისი სატრფოსი კიდე უარესად.

III

მეტი ჩარა არ იყო, ფშატაძეს უნდა რამ ღონე ელონა: დადიოდა მეზობლებში და ზოგს რას მოუშარებდა ზოგს რას; ერთს ქათამს მოსტაცებდა, მეორეს ბატს, მესამეს ინდაურს, მეოთხეს ცხვარს, და სხვ. მობობდა დადილით შინსიკენ ფშატაძე მოსდევდა მდევარიც უკან ყოყინობდა ერთი იყო და ათასი საქმე იჩეოდა იმის გარეშეში. ფშატაძე თავის სატრფოსაც დაუწყო რაღაც



* * * აქედანვე: ნ ივლის ერთმა დედაკაცმა მიიყვანა სიღნაღის მომრიგებელ სასამართლოს ბოქაული ბ-ნი პერკინი ერთ დუქანში ვალში საქონლის ასაწერად. დუქანის პატრონმა ხანჯალი სთხოვია თურმე დედაკაცს კისერში. დედაკაცს გაეჭრა მარტო წამოსახსნი და კაბა, სხვა არაფერი. მართლაც და გაჭირდა ცხოვრება, ესხლა აღარც ხალხსა აქვს შეძლება და აღარც მედუქნეებს, გარდა თითო-ორი მამა-სისხლად ფულის გამსესხებლისა.

* * * სოფ. ხუმიდგა (კავკასის ოლქი): ცხრამეტს მაისს, ხუმიდგაში მცხოვრებ ყავდინა ალბეგოვის სამი წლის ქალი ჭაში ჩავარდა (სამი საგენი სიღრმე აქვს და შიგ ერთ არ-შინამდე წყალია). მშობლები თითქმის სამ საათზედ მეტს ეძებდნენ ყმაწვილს, მაგრამ ვერსად იპოვნეს; შემდეგ მივიდა ერთი მქედელი—ლეკი ჭაზედ და ვედრა ჩაუშოა წყლის ამოსაღებად. სახე ვედრა როცა ამოსწია, თურმე ნიკაპზედ მოახვედრა ყმაწვილს; ყმაწვილმა შესტირა, ლეკვაც დაიწყო ყვირილი: „ყმაწვილია ჭაშია“. ყვირილზედ ხალხი მოგროვდნენ, ჩაუშვეს კაცი და საბარლო ბავშვი ამოიყვანეს. ფეხზედ იდგა თურმე და წყალი იღლიამდინ სწვდებოდა. ბავშვს მეორე დღემდე ხმა არ ამოუღია, მხოლოდ შემდეგ ცოტა მოხენდა და დაიწყო ლაპარაკი.

ქართული დრამატული საზოგადოების კომიტეტი
(წერილი რედაქციის მიმართ)

კარგა ხანია, საზოგადოებაში ხმა იმის და გაზ. „ივერიაშია“ იყო შენიშვნა, რომ დრამატული კომიტეტი საგანსოდ ხელს იღებს ქართულ წარმოდგენების საქმეთა წარმოებაზე და თავის უფლებას ამ საგნის შესახებ მ. საფაროვისას უთმობს.

ჩვენ არ ვიცით, რაოდენად მართალია ეს ხმა, ან რომ აიძულა კომიტეტი ასეთ საქმისათვის, ხოლო არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება.

შარბის მოდებმა, ჯუღეტას ჯერ მწყერივით ნახი გული ჰქონდა გახეთქილი ამდენის აურ-ხაურით და ესხლა ხომ სრულიად დაეკიდა სულ-გული.

ერთს ღამეს, როცა ფშატაძე შინ მთვრალი მოვიდა, —ვიღაცა მგზავრად მომავალს ნაცნობს დაეთრო და შინ მაგარის უღარდელის ძილით ეძინა თავის ბედის ვარსკვლავთან, —ბედის ვარსკვლავმა განიზრახა გაპარვა ტფილისსა შინა, სადაც იყო მისი ძველი ასპარეზი მოქმედებისა და სახელისა. შეკრა ბოხნაში თავისი ავლა-დიდება, მოახტა ლურჯას და შუაღამისას გაპქრა.

ფშატაძეს გამოეღვიძა 10 საათზე და დაიყვირა: „ჩაი!“

შემოვიდა ვითომ და ლაქია, იქვე სოფელში მოხელილი ერთი ობოლი ბიჭი, რომელსაც ტანზე ძველი უნტერ-ფიცრის იარმუკაზე ნაყიდი სერთუკი ეცვა და წინ ფართუკი ჰქონდა აკრული.

რას გვიბრძანებთ, ბატონო, ჰკითხა მან ფშატაძეს და თან ცალი ყბა გვერდზედ მოიქცია, ნაცვლად ღიმილისა.

ქართული საზოგადოება სცენა და თვით მისი ბედ-იღბლის გამძღოლი დრამატული კომიტეტი აგერ თორმეტი წელიწადია, რაც არსებობს.

რადგინ ვაივავალხი, რა ჰქაან-წყვეტა და რა ერთი არე-დარევა უნახავს ამ ხნის განმავლობაში ქართულ თეატრს, ვგონებ, ყველამ კარგად და ზედმიწევნით ვიცით. რადგინ ქართულ თეატრის ავი თუ კარგი ყველას თვალ-წინ გვიდგას.

არ ვიტყვი იმასაც, თუ რა მიზეზია, ხოლო ჩვენში ყოველგვარ საქველ-მოქმედო საზოგადოებას, ასე თუ ისე, ღირსეულ ყურადღებას აქცევენ და იმავე დროს დრამატული საზოგადოება სრულებით მოკლებულია იმ ყურადღებას, რომლის ღირსიც არის.

ვისაც თვალის მოუკრავს დრამატული საზოგადოების წესდებისათვის, და ვეთანხმება, რომ ესეთი ყოველად ძვირფასი უფლებით მოსილი წესდება ჩვენ არ მოგვეპოება. „საზოგადოებას“ შეუძლიან იქონიოს საკუთარი ქართული სკოლა, თითქმის საშუალო სასწავლებლის პროგრამით, საკუთარი ჟურნალ-ვახეთი და აწარმოვოს თეატრის საქმე საქართველოს ყველა კუთხეებში.

თუ არ ჩვენში განა სხვაგან შესაძლებელია, რომ ასეთი ფრიად სასარგებლო და ხელ-ჩასაქად წესდებას ასე უგულოდ მოექცნენ და უგულვებელ-ჰყონ?!

ამიტომ ზემოდ ხსენებულმა ხმებმა, ცოტა არ იყოს, გაგვაოცა და მწარე ფიქრს მიგვცა.

ყველა ქვეყნების და ყველა ერთა თეატრების ისტორიიდან ნათლად სჩანს და ჩვენშიაც აშკარად დამტკიცდა, რომ კერძო კაცთ არ შეუძლიან თეატრის საქმის სასურველ გზაზე დაყენება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის მაინც უნდა აღვიაროთ, რომ კერძო ანტრეპრისხას იდეალი დამყარებულია სხვა საწყაოზედ, საზოგადოების ანტრეპრისხა-კისულ სხვაზე.

პირველ შემთხვევაში უმთავრესი საგანი თეატრისა კერძო და პირადი სიკეთეა საქმის გამძღოლი, მეორეში კი—უპირველესი და უმთავრესი აზრი თეატრისა მიმართულია საერო და საქვეყნო დღეგრძელობისაკენ.

— ჩაი-მეთქი, არ გესმის! შეუწყვირა თავ-მოძწონედ ფშატაძემ.

— არ გახლავსთ, ბატონო არც ჩაი, არც შაქარი. მიუგო კვლავ „ლაქიამ“ და თანაც ყბა ისევ გვერდზე მოიქცია, ხოლო ხელი მიიფარა პირზე.

— როგორ თუ არ არის, რა პასუხია. ს... სინ!... ქალ-ბატონი სადა ბრძანდება. სთქვა აღლევებულმა ფშატაძემ.

— რა მოგახსენოთ, დღეს არ დამინახნია თვალთ, სთქვა კვლავ ბიჭმა.

ფშატაძეს თითქო გულმა უგრძნო, წამოხტა, ფეხზე შემოიკცა აფხაზური ჩუსტები და დაიწყო აქეთ-იქით ხელების ტორტმანი. გაიგო, რომ რაღაც ამბავი იყო. როგორ თუ არ იცო, შე გ...ლო, ქალ-ბატონი სად იქნება. იქნება სასერიოდ წაბრძანდა, სათქვა ფშატაძემ.

— იქნება, რა მოგახსენოთ, მიუგო კვლავ ლაქიამ და პირზე ისევ ხელი მიიფარა.

— ჩამოიღე ხელი! Я Тебѣ Покажу! დაიყვირა ფშატაძემ და გაიფრინა ბიჭი გარეთ. ჩქარა ცხენი შემოიკაზე, სთქვა შინ, მაგრამ ბოლოს ფიქრს

ამიტომ რა არის საკვირველი, რომ ჩვენს სიმპატიას და უპირატესობას ყოველთვის იმ საქმის წარმოებას ვაკუთვნებთ ხოლმე, რომელსაც თვით საზოგადოება მიუძღვება წინ. და ასეც უნდა იყოს ყოველთვის.

ჩვენმა თეატრმა ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი გარემოება ხელს უშლიდა, როგორც, მაგალითად, ზოგიერთ ნიჭიერ მოთამაშეთა განზე გადგომა, მაინც, შედარებით წინა წლებთან, წელი გაიმართა, და ამყარა წესი და რიგი თავის კელლებ შორის და სრული იმედი იყო, რომ დრამ. კომიტეტი თეატრის საქმეს ჯეროვან დონეზე დაამყარებდა...

ესლა-კი გვესმის, რომ ქართულ თეატრის საქმის წინ გაძღოლას და მის ბედ-იღბლის გამგებლობას სხვა, კერძო კაცს აძლევენო და საქმე მხოლოდ რაღაც პირობათა შემუშავების გამო-ღა შემდგარი, თორემ პრინციპიალურად ეს საგანი უკვე გადაწყვეტილი საქმეაო.

ჩემის აზრით, სწორედ პრინციპიალურად რომ გავსინჯოთ, არავითარი უფლება არა აქვს საზოგადოებისაგან არჩეულ კომიტეტს ის საპატიო და მძიმე მოვალეობა, რომელიც ჩვენ დავავლეთ და იმათაც იკისრეს—თავიდან აიცილონ და სხვა კერძო კაცს გადასცენ, სანამ საზოგადოებასვე არ დაეკითხებიან...

მას შემდეგ, რაც სახანაურო ბანკმა თეატრი გადააქეთა და იჯარით გასცა, ქართული თეატრი მუდამ ყელზედ აღვიათ თეატრის მოიჯარადრეებს, რომელნიც უღობველ მოქიშვეთ ჰყოლია ჩვენს თეატრს.

ბ-ნი ფორკატი ხუთს წელიწადს სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე ქართული თეატრი ხელში ჩაეგდო და მოესპო ის უპირატესობა, რომელიც იმას აქვს მინიჭებული ბანკის მმართველობისაგან. არც ფორკატის და არც სხვა მოიჯარადრეს, რომელსაც, აუცოლებელია, საკუთარი ინტერესი თუ არა ჰქონდეს სახეში, არ ებრძანებოთ, რომ ქართულს დასს მმართველობისაგან ერთხელვე გადაჭრილ ფასად უნდა დაეთმოს დარბაზი წარმოდგენისათვის; არ ებრძანებოთ, რომ ამას გარდა უნდა დაეთმოს თთვეში რამდენიმე კვირა დღე.

მიეცა: მოავონდა ცხენის კოკობა.

— სტუმრად ხომ არსად წაბრძანდა, ბიჭო, ქალბატონი, წადი იკითხე, ლევანიანთსა, ნიკოლაანთსა, თუ იქ არა ბრძანდება, მოდი და შემატყობინე, მიამბა კიბზე რახან-რუხით მიმდინარს „ლაქიას“...

— არსად არ გახლავსთ, თვალთაც არ დავინახავსო, ლევანიანთ და ნიკოლაანთ ქალებმა მოგახსენეს, მოუტანა ლაქიამ პასუხი. ფშატაძემ თითზე იკბინა. ამხედრდა თავის კოკოს ტაიქზე და დაედევნა თავის მზეს კვალ და კვალ. სიბრაზისაგან სისხლი ყელში ებჯინებოდა. ყველა მგზავრს, ვისაც გზაში ჰხვდებოდა, ჰკითხავდა ფშატაძე თავის მზის ამბავს და ყველანი უბასუხებდნენ: „დიდი ხანია გაიარა, ცხენს მიაქროლებდარო.“ მიაქროლებდა, ფშატაძეც ცხენს, მაგრამ მისი ცხენი წინანდლებრ ვედარ მიფრინავდა, ვედარ მიჰქროლავდა.

ესე გაჰქრენ ორივენი: მზე და მთვარე. მათი სოფლად ამბავი აღარაფერი ვიცი, კარგა-ხანია ღ მასსაღამეთქვეც, მკითხველო, უნდა მოგვითმინოთ იმ დრომდე, მანამ ფშატაძე

ფორკატმა ამ უხერხულობის ასაცილებლად ერთი ღონისძიება მოიგონა: ქართულ თეატრს ვიშვილებო, ე. ი. მე მომეკით და მე ვაწარმოებ ქართულ წარმოდგენების საქმესაო, ჯამაგირებს მეტს მივცემ არტისტებს, ხოლო კომიტეტი უშაღლესი ზედამხედველი იქნება თეატრისაო და სხვა...

მაგრამ დრამ. კომიტეტმა და ქართველ არტისტებმა, მათ სასახელოდ, ერთხელ უარ-ჰყვეს ფორკატის გულ-შემატყვირობა და მოწყალეობა.

განა შესაძლებელია კერძო ანტრეპრისხამ, უფრო შემოსავლიან რუსულ და იტალიურ ოპერა-დრამებით გატაცებულმა, იბრუნოს კიდევ ქართულ თეატრისათვისაც? ქართული თეატრი ხომ მოგებას და გამორჩენას ვერავის ვერ მისცემს. იგი მხოლოდ საზოგადო და საეროვნო საქმეა, საქმე მამულის შვილობისა, მამულის მოყვარეობისა, საქმე სულისა და გულისა და არა ფულისა!

წელს რა მოხდა ისეთი, რომ დრამატულ კომიტეტს განუზრახავს ქართულ თეატრზე ხელი აიღოს და სხვას გადასცეს? უფულობა? მართალია, ბანკის კრებამ უარი უთხრა კომიტეტს, 1000 მან. შემწობას ვერ მოგცემო, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც გვესმის; სხვაფრივ მისცემენ შემწობას ქართულს თეატრს ისინი, ვინც მისი ქეშმარიტი გულ-შემატყვიარნი არიან.

მაშ რა მიზეზია?!
წვენი ქართ. დრამ. საზოგადოებისა 1893 წ. ივლისის 12.

წერილი კახეთსაგან.

თელავის სასულიერო სასწავლებელთან არის დაარსებული განყოფილება სამრევლო საეკლესიო რჩევისა და მზრუნველობისა, სასწავლებლის ზედამხედველ ბ-ნი შიო შიუკაშვილის თავმჯდომარეობით. ამ განყოფილების მოვალეობაა ყოველ მხრივ თვალყური აღევნოს სამრევლო საეკლესიო სკოლებს. ნ ივლისს, წირვის შემდეგ, რომელზედაც გალობდა იმავე სკოლის მოსწავლეთა გუნდი, იყო გამოცდა აწყურის ორ კლასიან სამ-

ჩვენს ახლო მხარეს გაჩნდება... მაშინ ახლად შეუდგებით იმის ბიოგრაფიის აღწერას.

— ჰეეე, რა სერიო-და! ისმოდა ხმა სოფელში: საკვირველია, ი დალოცვილი ღმერთი ზოგ კაცს როსარჩოს მისცემს, რატო ჰქვას აღარ აძლევს, რომ იმ სარჩოს მოუაროს. ერთ-ორ თთვეში ხუთას თუმნის შექმა თქველა, გაგონილა!?

— მაშინათვე გითხარით, შეილო-სან, მაგრამ ყური არ მიგდეთ; მაშინათვე, ვატყობდი ი რო ცხენს აკუნკრუხებდა! იმ ნაირი ანგელოზი მოჰყვათ თან ორავეს, ამბობდა კვლავ მოხუცი სოსიკა.

სოფლის დედა-კაცებს ხომ ერთი განგათი ედგათ: „ი ჩვენი კნიახის ცოლი თვალთ-მაქო იყო, კუდიანების ქვეყნიდამო,“ ამბობდნენ ისნი და ვინ იცის, რა განმარტებას არ აძლევდნენ ჯუღეტას ყოფა-ქცევას.

— ქალო, ამბობდა ერთი სოფლის ქორტიკა: იმ დასაქცევის გაზდის ერთი სარკე ჰქონდა. შიგ რომ ჩახედნა კაცს, ვინ იცის, რა მიღეთის ხალხს არ დაინახავდა, რა ქვეყნებს, საქიოსაც-

რევილი საეკლესიო სკოლის მოსწავლეთა. გამოცდას დაესწრნენ განყოფილების თავმჯდომარე და ორი მასწავლებელი. ორსავე კლასში საომართო სჯულს დაწველეს. ხეობა დაშნის მღვდელი ივ. გოგოლაშვილი, რომელსაც სწავლა დაუშთავრებია ტფილისის სასულიერო სემინარიაში. უფროს კლასში ასწავლის იმავე სემინარიაში სწავლა დამთავრებული, ბ-ნი შავლიაშვილი; უმცროს კლასში ასწავლის ქ-ნი ნ. სვიმონიშვილისა, რომელსაც სწავლა დაუშთავრებია თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში. უფროსი კლასი შესდგება ორის განყოფილებისაგან. ორსავე განყოფილებაში ითვლება 30 მოსწავლე, ამათგან 14 უფროს განყოფილებაშია, 16 უმცროსში. უფროს განყოფილებაში 9 ვაჟია, 5 ქალი, ამათგან 1 ვაჟი და 2 ქალი აზნაურ-შვილები არიან, 8 ვაჟი და 3 ქალი გლეხისა. უმცროს განყოფილებაში 2 ვაჟია, 14 ქალი, ამათგან 1 ქალი აზნაურისა, 2 ვაჟი და 13 ქალი გლეხის შვილები არიან. უმცროს კლასში წლის დასაწყის ყოფილა 61 მოსწავლე. ამათგან 27 ვაჟი და 34 ქალი, ერთი ქალი ყოფილა აზნაურ-შვილი, სხვა სულ გლეხის შვილები. წლის განმავლობაში უფროს კლასს დაჰკლებია 6 მოსწავლე, უმცროს 11, ამათგან 3 დაჰკლებია შეუწყნარებელის მიზეზით. წლის დასაწყისის 75 ბავშვისთვის უარი უთქვამთ ადგილის უქონლობის გამო.

უმცროს კლასში გავლიათ: საღმრთო სჯულიდამ ლოცვები და ზოგიერთი მოთხრობა ძველისა და ახლის ალთქიდან, „Русское Слово“-დამ 44 გვ. „დედა ენი-დგან“ 65 გვ., ანგარიში 30-მდის. უფროს კლასის უფროსს განყოფილებაში გავუვლიათ: ახალი ალთქმა, „Русское Слово“ გაუთავებიათ, „ბუნების კარიდან“ 68 გვ., ანგარიში 1000-მდის. ამავე კლასის უმცროს განყოფილებას შეუსწავლია „Русское Слово“-დგან 78 გვ. გაუთავებიათ „დედა ენა“ და ძველი ალთქმა, ანგარიში—30-მდის.

მართალია, მკითხველი დავღაღე ამ ცნობებით და ბოდიშსაც ვიხდი, მაგრამ საქირო იყო. გამოცდას და-

კი დაინახავდი, ისეთი რაღაც თვალთმაქცური რამ იყო.

— ის-კი არა, ქალო, ჩემი თეკლეს შარჩენამ, მე ის უფრო გამოიცდა, იმ შეჩვენებულმა რომ უნაგირზე ფეხდგომელამ წისქვილის რუხე ცხენი გადმოახტუნა, თან ისეთი დაიწიკვიანა, თითქოს კლდიდამ გამოვარდნილი აღიარა.

ფშატაძის „ლაქიამაც“ ერთ კვირას ითმინა: ელოდდა ბატონს და ქალბატონს და, რადგანაც ისინი არსად სჩანდნენ, გაჰქრენ, იმნაც დაკარგა ერთ-გულემა, ადგა და ისიც გაჰქრა ფშატაძის ოჯახიდან.

სოფლის მედუქნეს იმედი აქვს, ამ იმედს არც ჰმაღავს, რომ ფშატაძის სახლ-კარი და ბახჩა ორმოც თუმანში დაინარჩუნოს. „ოცი თუმანის დანახარჯი ნისია აქვსო“, ამბობს: „და ოც თუმანსაც ჩაუჩხრიალებო, ნეტა ესხლა, ამ გაჭირების დროს, თვალთ დამანახავო“, ნატრობს სულ-კურხეულის შვილი.

ვაჟ-ფშავლა (დასასრული იქნება)

დეპეშა

10 ივნისი

ესწინ მოსწავლეთა მშობელნი და უცხოეცი, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ ბ-ნ შიუკაშვილის-მიერ. მოსწავლეთა გამოცდამ ისეთი ცხოველი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზედ, რომ ბევრს მოცინარე სახეზედ სიხარულისა და სიამოვნების ტრემოლებმა დაუწყეს დენა. ერთმა დედამ იქვე თავისი შვილი, გამოცდილად გაბრუნებული, ჩიკრა გულში და ზედ აფრქვევდა დაბადებით მომდინარე მსხვილ მარცხოვან სიხარულის ცრემლებს. არ ვიტყვი, რომ გამოცდის ბევრი ნაკლები იქნება არ აღმოჩნდეს, მაგრამ, ღმერთი მოწყალეა. ყველა ეს ადვილად გასწორდება, თუ განყოფილების თავმჯდომარე და წევრი ბევრთობას არ მოაკლებენ. დღეს ისეთი ნასიამოვნებები ვარ, რომ ნაკლები იქნება არ მინდა ვილაპარაკო. მე მხოლოდ მინდა მოახსენო მკითხველს, რომ ჩვენი გლეხთა შვილი საოცრად ნიჭიერი ყოფილან. წარმოდგინეთ 8—13 წლის გლეხის გოგო, ან ბიჭი, რომელიც თავისუფლად კითხულობს რუსულს, თავის სიტყვით გადმოგცემს შინაარს წაკითხულისას, ბევრთად გაიმბობთ „ბუნების კარიდგან“, რომელს ტატიანაც დაუსახელებთ, მარტივად და შეგნებით გაიმბობთ სიმართლას სჯულსა, სწერს ორსავე ენაზედ, თუმცა შეცდომით, მაგრამ გარკვევით, თამამად იმეორებს თქვენგან ნათქვამს ამოცანას რუსულ ენაზედ და ამავე ენაზედ იკვლევს ანგარიშს, აგრედვე ქართულად. ყველა ეს შეუსწავლია ერთი წლის განმავლობაში. ახლა იფიქრეთ, რამდენად ბეტის გაკეთება შეეძლო ამასვე, რომ სწავლებაში ათასი დაბრკოლება არ გადაღობებოდა წინ მას და მის მასწავლებლებს. ქეშმარიტად შესანიშნავი და საყურადღებოა ეს გარემოება. ამ გამოცდამ ცხადად დამარწმუნა, რომ საზოგადოდ სასოფლო სკოლებს ბევრის გაკეთება აურომე შესძლებიათ, თუ-კი ბევრთობას და საქმის ხეირიანად წყევანს არ მოაკლებს კაცი. ამავე გამოცდამ, მობრძლების თანა დასწრებით, უტყუარად დაგვარწმუნა, რომ ყოველივე, რასაც გლეხებზედ ამბობენ, — არ მოაკლებთ შვილები, სწავლას არიდებენ, ან კიდევ, — სწავლის უმაღლური არიანო, — სულ ცილის წამებაა, თავის გასამართლებლად მოგანილი. მართალია, გლეხი თხოულობს, რომ მისმა შვილმა გლეხურ ცხოვრებაში ხშირად საჭირო ქაღალდების შედგენა იცოდეს და, განა ეს მოთხოვნილება საერთოა არ არის? განა ძნელია ასწავლოს კაცმა თამასუქისა, პირობის წერილისა, მედიატორულ განაჩენისა და სხვა ამისთანების შედგენა? აქვრ ბ-ნ გუნისას სახელმძღვანელო. საჭიროა, მხოლოდ აუხსნას კაცმა, როგორ ისარგებლონ ამითი. არა, ბატონებო, ვერ დამარწმუნებთ წინააღმდეგში. მე რომ და და შმა დედა ბრიშვილები, ბაჩიაშვილები, ბაინდუროშვილი, და რომელი ერთი ჩამოვთვალთ, ენახე, იმათ თუნდა არ-ის დაწერასაც ასწავლის კაცი; საქმე გულმოდგინებაა. ღმერთმა აკურობოს, აწყურის სკოლის მოსწავლენიც, მასწავლებლებიც და ზედამხედველებიც; ბევრი საიმედო ფაქტები დამიბადეს თავში.

ნადიკორელი

პატივგზავნი. გამოცხადებულია დებულება სახელმწიფო სადგურთან განადგურებისა.

უმაღლესის უქაზით ნაბრძანებია: თანხმად საშობლო მეურნეობის მოთხოვნილებისა, რაც ხალხის კეთილდღეობის ბურჯს შეადგენს, გარდაკეთდეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, გაუფართოვდეს ასპარეზი მოქმედებისა, რათა განძლიერდეს მისი სასარგებლო ხელმძღვანელობა მთლად იმპერიის მეურნეობის ასაღორძინებლად. ამის აღსარებულად აღწერილ იქნას და სახელმწიფო საბჭოსადმი წარდგენილ, მის უახლოვეს სესიაში განსახილველად, პროექტი სამეურნეო გამგეობისა და სახელმწიფო ქონებათა ნაწილის მოწყობისა.

პარიში. მიღწეულა და დერულედმა წარუდგინეს სამინისტროს ასლები იმ დოკუმენტებისა, რომლებიც მოპარულია ინგლისის სელჩოლად, და ბრალსა სდებენ რადენსამე საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეს, მეტადრე დებუტატს კლემანსოს, ვითომც ბოროტ-მოქმედება ჩადინათ. სამინისტრომ ყურადღება არ მიაქცია ამ ქაღალდებს, ხოლო დანიშნა გამოძიება. მაშინ მიღწეულა დოკუმენტები პალატაში წარადგინა. პალატაში კლემანსო თხოულობს იმის საბუთების წარმოდგენას, ვითომც ის ქვეყანას ჰალატობდა. მიღწეულა სთქვა, რომ ერთი ვინმე, ვმ. მავრიკის კუნძულები, ყოველ დღე ინგლისის საელჩოში წერილების ასლს იღებდა, და თითონ კითხულობს რადენსამე წერილს. ხმაურობა და სიცილია. ზოგი დებუტატთაგანი ამბობს, რომ ეგ წერილები ყოველ სიმართლეს მოკლებულიაო. დერულედი წამოადგა და განაცხადა, დებუტატობისაგან დამითხოვეთო. მიღწეულა კითხულობს დოკუმენტს, ინგლისის საელჩოს მიერ ბეჭედ დასმულს, რომელშიაც ნათქვამია, რომ ზოგიერთმა პოლიტიკურ მოღვაწემ ქრთამი აიღო. მოყანმა სთქვა, სხვა საქმეთა განხილვას შეეფუდგეთ და მით გავეციხეთ სადაველი და სასაცილო ცილისწამება, ტრიბუნაზე წარმოთქმული, და უსიამოვნებაც გამოეხატათ, რომ პალატამ ტყუილ დაპარაკში დრო დაჰკარგაო. ესაზრი პალატამ შეიწყნარა 382 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4-სა. პალატაში ტაშის ცემა ასტყდა. ნორტონი, რომელმაც ინგლისის საელჩოდამ დოკუმენტები მოიპარა, დაბაჟიმრებულია. ყველა გაზეთები, განურჩევლად დასისა, ჰკიცხავდენ ამსუბუქებულთ, რომელნიც საჯაროდ მძიმე ბრალსა სდებენ საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა.

მართებლობამ წარუდგინა პალატას განსახილველად რუს-ფრანგთა სავაჭრო კონვენცია. რუსეთის ნავთს მცირედი ბაჟი გადახდება — 9 ფრანკი და უმეტესდელს და 12 — მდე დაწმენდილს. საფრანგეთს დაეკლება ბაჟი 51 საგანზედ, სხვათა შორის, იმ

დენიზზედაცა რომელიც საფრანგეთში დამ გამოაკეთ ბოთლობით — 15%.

12 ივნისი

ლონდონი. ბრიტანიის სამხედრო ხომალდი Victoria, რომელიც ხმელთა-შუა ზღვის ესკადრაში ითვლებოდა, ტრიკუპისის ახლო, სირიაში, დაეჯახა სამხედრო ხომალდს Camperdun ს და დაიღუპა კომანდირი — აღმირალი და 400 კაცი.

პარიში. პარიჟი აღელვებულია პალატის გუშინდელ კრების გამო. მიღწეულა ვილსაც გაუბრკვევიაო; დამაშავეს სასამართლოს მოხელენი დაქმებენ. დღეს „ფიგარო“ დაჰპეტდა ის დოკუმენტები, რომლებიც მიღწეულა გამოაცხადა; არაფრით ააბტკაცდება, რომ ოფიციალური ხასიათი ჰქონდეთ. ექვი არ არის, ყოველივე ეს მოგონილი იყო იმ განზრახვით, რომ პანამის სკანდალი ხელ-ახლად აღედრათ.

ბმრლინი. მართებლობას ეხლა იმედი აქვს, რომ კონ-პროექტი მიღებულ იქნება ახალ რეისტარის მიერ. შემოდგომაზედ ჯარს მოჰკრებენ ახლის წესით. ხარჯის შესახებ შემოდგომაზედ ექნებათ ჯგა, მანამდე-კი ყოველ დასთა მეთაურთ ცალკე მოელაპარაკებან. ეხლა რეისტარგი მხოლოდ იმისთანა პროექტებს განიხილავს, რომლის მიღებაც ექვგარეშეა.

შეტერბურგის ბირეა, 4 ივნისი.

სახელი	ფუნქცია	ბანკი	ბანკი
ნუო-მანათიანი ოქრო	7,88	7,88	—
ტამბინის გუნდები	151	151 3/4	—
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,00	1,00	—
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეტი	—	—	247
შეორისა	—	—	224 1/4
4% მესამე სესხისა	—	—	—
სახელმწიფო თავდაზნაურობის ბანკის მომგები ფუნქცია	—	—	194 1/2
გირანობის ფუნქციონირების ბანკისა	—	—	—
5%	—	101	—
5%	—	100 1/4	—
ქულისის ბანკისა 6%	—	101	—
5%	—	100 1/4	—
5% ობლიგაც. ტვილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98	—	—

ბანკსალაბანი

წინა-კითხვის გამაგრებლებმა საზოგადოებამ მიიღო პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეთაგან განსაკუთრებული უფლება მის ნაწერებს გამოცემისა. ამ საზოგადოების გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც-კი მოგოვება ჰქონდეს და დაუბრუნებია მისა დაქვეყნება, წარდება, სათარგმნება და სხვა, ანუ საკუთარს მის სედათ დაწერა-ღია რამ, თუნდაც იგი დაბეჭდილი იყეს, ინებონ და გამოგზავნონ საზოგადოების კანცელარიაში (სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა № 126). ნაწერების დაბეჭდვის შემდეგ ყველაფერი უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს. (5—4)

პირველი კერძო სამეურნეო

ექიმის ნავასანდ და მისი მომხმარებელი (კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

აქედმოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა, დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასანდანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულე-ბანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქვანი, 9—10 საათამდის, სნეულე . . . თვალის და ნერვებისა—ტანში ტვილებისა.

დ. გ. რუდკოვსკია, 10—11 საათამდის, სნეულე-ბანი: შინაგანი, ბავშვებისა და დელთა სქესისა.

ი. ფ. შროტსკი, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულე-ბანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანავა, 12 1/2—1 საათამდის, სნეულე-ბანი: საბებო და დელთა სქესისა.

ს. ზ. კანანავა, 1—1 1/2 საათამდის, სნეულე-ბანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ს. მ. ფუგინავა, 5—6 საათამდის, სნეულე-ბანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩუპურკოვსკია, 5—6 საათამდის, სნეულე-ბანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხიმურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ა. გადამსკია, 6—7 საათამდის, სნეულე-ბანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასანდანი, 7—7 1/2 საათამდის.

ე. ი. ფანსკი, 7—7 1/2 საათამდის, სნეულე-ბანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზეღვივა წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ჩვევა-დარბევის და რეცეფტის დაწერის ფასი ათა შაურია; ფასი ექიმთა კრების რევისათვის (კანსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის — მორცებით.

დაქტორა სამკურნალოა, დაქტორა მკაცრისა ნავასანდანი.

საზოგადოების საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად სება აქვს დატოვდა 2 ივნისს 1889 წელს იმპერატორს რუსეთში.

1 ანგანს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხა 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბანე“ 1890 წ.

საფრანგეთში და კურაშის გების მიცემისა, და სხვა სახელმწიფოებში დასწავლა 50.000,000 ფრანკი.

ს. შეტერბურგი, ნეის პრესბურგი, № 13.

საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ანბ., ტვილისს, ველიამოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დაბუჯება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასო გაკვსანებათ.

(20—10)

რუსეთის სავაჭრო და სავაჭრო სიობანი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი მოკვამიანი ბილეთები I, II, და III სესხისა თთვეში ხუთ-ხუთ მანათის გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტეც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქნას წარმოდგენილი არა ნაკლებ 15 მანათისა. კუპონები სრული საკუთრება მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა 65 კაპ.

სავაჭრო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყოფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღია 9 საათამდის 2 საათამდე.

(50—29) აგისტო დ. ქ. თუთაი.